# სარბიელი

სპორტული გაზეთი · გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან · შაბათი, 10 სექტემბერი 1994 № 46 (121) · ფასი 90 000 კუპონი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოსალოდნელი სირცხვილის ქრონიკა

ამბობენ, 17 თებერვალს დანიშნული ფეხბურთის ფედერაციის ყრილობისთვის უკვე მომზადებულა და დაბეჭდილა ამ ორგანიზაციის ოთხწლიანი მუშაობის ანგარიში, რომელშიც ერთ-ერთ მიღწევად ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ შეხვედრაში მიღწეული წარმატებაც ფიგურირებდა. უბრალოდ, ანგარიშილა დაუტოვებიათ ჩასაწერი. არ ვიცით, რამდენად მართალია ეს ფაქტი და საერთოდ, 7 სექტემბრის სენსაციური წაგების შემდეგ ნაკლებად გვაინტერესებს, რა მოხდება ყრილობაზე. ფაქტი ერთია: საქართველოს ნაკრებმა მოლდოვასთან (და არა, ვთქვათ, ლიტვასთან, ვინც შესარჩევი ტურნირების უდიდესი გამოცდილება უკვე დააგროვა) შინ წაგებით ქართული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო სტრიქონი ჩაწერა.

...ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძე გადადგომას არ აპირებს — ეს მან თავად გვითხრა გუშინდელ სატელეფონო საუბარში. ნაკრების ხელმძღვანელობა მუშაობას ჩვეულებრივ გააგრძელებს, თუმცაკი მოსალოდნელია გუნდის შემადგენლობის კარდინალური ცვლილება. რაც შეეხება ნოდარ ახალკაცის აზრს ამის თაობაზე, ის ჩვენთვის გაურკვეველია — არავითარი ინტერვიუ — იყო პრეზიდენტის პასუხი.

### მატჩის სტენოგრამა

I ტაიმი

1 წთ — ყაველაშვილი ჯამარაულის პასით შეიჭრა საჯარიმოში და კინაღამ კრაიოვაში გატანილი გოლი გაიმეორა.

4 — ქინქლაძის პასით მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში მყოფმა გურულმა ვერ გამოიყენა გოლის გატანის ნაღდი შესაძლებლობა.

10 — ქინქლაძის დარტყმა კოშელევმა აილო, არჩილმა მისი მოგერიებული ბურთი ზარიზას გადააცილა.

14 — შეცდა ცხადაძე, კურტიანუმ 25 მეტრიდან კარს გადააცილა.

15 — ოპრიამ ჩამოაწოდა მარცხნიდან, კლეშჩენკო თავით ურტყამდა კარში, ცხადაძემ განმუხტა სიტუაცია.

19 — რეზოს მიწოდებული კუთხურის შემდეგ შელიას თავურს კოშელევი იგერიებს, ბურთთან ყველაზე ადრე ყაველაშვილი ჩნდება, მაგრამ ოთხიოდე მეტრიდან მარცხენა ძელს ახვედრებს ბურთს.

25 — ყაველაშვილის გარღვევა და დარტყმა — ბურთი მარჯვნიდან სცდება კარს.

26 — გურული ძლიერად ურტყამს — ბურთი ახლა მარცხნიდან სცდება.

27 — არჩილი რეზოს პასით მარჯვნიდან შეიჭრა საჯარიმოში, მაგრამ მის დარტყმას კოშელევი ფეხით იგერიებს.

30 — სეკუ სახიფათოდ ურტყამს შორეულ ჯარიმას, ზოიძე ჯერ იგერიებს ბურთს, შემდეგ ეუფლება.

36 — ცხადაძემ კლეშჩენკოს სახიფათო გარღვევა გააუვნებლა.

38 — ქინქლაძის მარცხნიდან ჩამოწოდებულ ბურთს ცხადაძე თავით კარში აგზავნის, კოშელევი კვლავ იგერიებს.

40 — ქინქლაძე ორ მცველთან ბრძოლაში კარგავს ბურთს მეტოქის საჯარიმოსთან, სეკუ მარჯვენა ფრთაზე გრძელ პასს აკეთებს, ა. სტროენკოსთან ორთაბრძოლაში შელია სცდება, მარჯვენა ფრთაზე გარღვევაზე გადადის კურტიანუ, რომელიც საჯარიმოსთან მისადგომებთან მდგარ სპირიდონს გამოზომილ პასს აძლევს. სპირიდონი ფეხს აცილებს ბურთს, რომელიც მის უკან მდგარ ოპრიას მისდის. ნემსაძე ცდილობს ხელი შეუშალოს, მაგრამ ოპრია შეუჩერებლივ ცაციათი, მოჭრილად ურტყამს და ბურთი მარცხენა ძელთან ახლოს ბადეში ეხვევა. 0:1.

42 წთ — შოთა საჯარიმოს წინ ბურთს უტოვებს ქინქლაძეს, რომლის დარტყმა ზემოდან სცდება კარს.

II ტაიმი

46 წთ — არჩილი საჯარიმოში მოცელა ოპრიამ. მსაჯის სასტვენი დუმს.

55 — საჯარიმოსთან არჩილი ბურთს უტოვებს ყაველაშვილს, რომლის დარტყმასაც კოშელევი ეუფლება.

56 — შოთა საჯარიმოში მცველებთან ორთაბრძოლისას კარში ურტყამს, ბურთი სცდება კარს.

57 — საჯარიმოში შეჭრილ ყაველაშვილს აშკარად ცელავენ. მსაჯის სასტვენი კვლავ დუმს.

64 — ქინქლაძის პასით შოთა მეკარესთან პირისპირ რჩება, ატყუებს მას, მაგრამ მსაჯი არარსებულ ჯარიმას ნიშნავს.

68 — სპირიდონის დარტყმას შელია გადაეფარა.

70 — ყაველაშვილის რეიდი კარში დარტყმით მთავრდება, კვლავ ამაოდ.

74 — შოთა საჯარიმოსთან მოცელეს. ქინქლაძის ჯარიმა ასცდა კარს.

75 — რევიშვილის კუთხურიდან მოწოდებულ ბურთს ცხადაძე თავით ურტყამს, კოშელევი კვლავ ადგილზეა.

76 — კლეშჩენკოს სახიფათო გარღვევა.

77 — ყაველაშვილის ჯარიმა კვლავ კედელს ხვდება, ქინქლაძის განმეორებით დარტყმას კოშელევი იღებს.

86 — ქინქლაძის მოჭრილ პასს მოლდოველთა მთელი დაცვა წამოეგება და შოთა საჯარიმოში მეკარესთან პირისპირ რჩება. მის დარტყმას მარცხენა ძელი იგერიებს.

90 — არჩილის პასით საჯარიმოში შეჭრილ ჯამარაულს აქცევენ, მსაჯს არც ამჯერად დაუსტვენია.

იხილეთ მეორე გვერდი



სამი დღის განმავლობაში სპორტის სასახლის შეკეთებული და გაჩირაღდნებული დარბაზი საკალათბურთო სანახაობას [illegible] ევროპულ სარბიელზე ქართული კლუბების [illegible] ებებს მესამე-მეოთხე გვერდებზე იხილავთ, აქ [illegible] ვიტყვით, რომ სპორტის სასახლის დირექციამ ჟურნალისტებს შესაშური სამუშაო პირობები შეგვიქმნა.



## მოდი ვნახოთ ინსბრუკი

გივი ნოდია ავსტრიაში იმყოფებოდა, სადაც 3 სექტემბერს ვენაში „რაპიდ" — „ინსბრუკის" მატჩს დაესწრო.

— შეხვედრა „რაპიდის" გამარჯვებით დამთავრდა 3:1, თუმცა „ინსბრუკმა" ძლიერი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. სახიფათოა სანე, რომელმაც გოლიც გაუტანა ვენელებს. გამოირჩევიან შტიოგერი და ჩერნი. კრანკლს ჰქვსი ახალი ფეხბურთელი უყიდია: თქვენს გაზეთში დაბეჭდილი ინფორმაცია სავსებით სწორი აღმოჩნდა. გუნდი ათლეტებით არის დაკომპლექტებული, თამაშობს შემტევ ფეხბურთს, მეკარეც საკმაოდ ძლიერი ჰყავთ. „ინსბრუკს" აქვს სუსტი წერტილებიც: მთლად შეთამაშებულიც არ არის. „რაპიდმა" ეს ყველაფერი კარგად გამოიყენა ჩვენც შევეცდებით იგივეს გაკეთებას. შინაც და სტუმრადაც ძალზე ძნელი თამაშები მოგველის. ბიჭებმა ძალზე განიცადეს მოლდოვასთან მარცხი. არადა, ამ თამაშში ძალა და ენერგია არავის დაუშურებია. მერაბ ჟორდანია და ვაჟა ჟვანია მატჩის დამთავრებისთანავე შეუდგნენ ბიჭების დამშვიდებას და სამომავლოდ გამხნევებას, გუნდში ფსიქოლოგიური კლიმატის გაუმჯობესებას. მიუხედავად მეტოქის სიძლიერისა, შევეცდებით თამამად ვითამაშოთ თბილისში და ჩვენს სტილს არ ვუღალატოთ.

სამშაბათს და ოთხშაბათს გაიმართა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის კიდევ 19 მატჩი. ყოფილი საბჭოეთის ქვეყნებიდან ოთხშაბათს ნამდვილი სენსაციები მოახდინეს მოლდოვასა და ლიტვის ნაკრებებმა. ჩვენი მეტოქისა არ იყოს, ლიტველებმაც სტუმრად გაიმარჯვეს უკრაინის ნაკრებთან, რომელსაც ქვეყნის საფეხბურთო წრეებში არსებული განხეთქილების გარდა, იმანაც შეუშალა ხელი, რომ, როგორც ამბობენ, ახლა მთელი ყურადღება იქითკენაა, როგორ ითამაშებს კიევის „დინამო" მოსკოვის „სპარტაკთან". დამარცხების მიუხედავად ღირსეულად ითამაშეს ჩვენმა მეზობლებმა. სომხეთის ნაკრები მხოლოდ 0:2 დამარცხდა ბელგიაში, აზერბაიჯანმა კი რუმინეთისგან იმდენივე გოლი გაუშვა, რამდენიც ამ ცოტა ხნის წინ არგენტინამ. საინტერესოა რომ თავიანთი ევროპული დებიუტის წინ ეს ნაკრებები ორ-ორკვირიანი შეკრებებით იმყოფებოდნენ საზღვარგარეთ (შვეიცარიასა და საფრანგეთში). სომხების ამბავი გასაგებია, საოცარი კი ისაა, ამ ჩვენსავით გაუბედურებულმა და ნახევარტერიტორიადაკარგულმა აზერბაიჯანმაც რომ მოახერხა შეკრების შვეიცარიაში გამართვა. რაც შეეხება ჩვენს შესარჩევ ჯგუფს, აქ გამართულ მეორე მატჩს კარდიფში მხოლოდ 6500 მაყურებელი დაესწრო, თუმცა მათი მხარდაჭერაც საკმარისი აღმოჩნდა, რათა უელსის ნაკრებს 2:0 მოეგო და სათავეში ჩადგომოდა სატურნირო ცხრილს. ჩვენმა კიდევ ერთმა მეტოქემ, გერმანიას მოსკოვში, ამხანგურ მატჩში კუნცის გოლით 1:0 დაამარცხა რუსეთი.

I ჯგუფი
სლოვაკეთი — საფრანგეთი 0:0
რუმინეთი — აზერბაიჯანი 3:0
ბელოდედიჩი (42), პეტრესკუ (57), რადუჩოუ (87)

II ჯგუფი
მაკედონია — დანია 1:1
კვიპროსი — ესპანეთი 1:2
ბელგია — სომხეთი 2:0
კრბაშიანი (4, საკ.კარში), დეგრიზი (73)

III ჯგუფი
ისლანდია — შვედეთი 0:1
უნგრეთი — თურქეთი 2:2
კიპრიხი (4), კალმაი (45); ჰაქანი (66), ბულენთი (71)

IV ჯგუფი
სლოვენია — იტალია 1:1
უდოვიჩი (13); კოსტაკურტა (15)
უკრაინა — ლიტვა 0:2
ივანაუსკასი (55), სკარბელიუსი (61)

V ჯგუფი
ჩეხეთი — მალტა 6:1
სმეიკალი (6 პ), კუბიკი (33), ზიგლი (35, 49, 81), ბერგერი (89); ლაფერლა (75)
ნორვეგია — ბელარუსი 1:0
ფრიგარტი (89)
ლუქსემბურგი — პოლანდია 0:4
როოი (24), რ. დე ბური (65, 67), იონკი (90)

VI ჯგუფი
ლიხტენშტეინი — ავსტრია 0:4
პოლსტერი (18, 45, 79), აიგნერი (22)
ჩრდ.ირლანდია — პორტუგალია 1:2
ქუინი (58 პ); კოშტა (8), დომინგუში (81)
ლატვია — ირლანდია 0:3
ოლდრიჯი (16, 75), შერიდანი (29)

VII ჯგუფი
უელსი — ალბანეთი 2:0
კოულმენი (9), გიგზი (67)

VIII ჯგუფი
ფინეთი — შოტლანდია 0:2
შირერი, კოლინზი
ფარერები — საბერძნეთი. 
მიულერი (89); სარავაკოსი (? ), ლუხიდისი (18, 85), ალექსანდ. 61)

# ანმყო თუ არა გვწყალობს



როგორც ...ალოდნელი იყო, მოლდოველები... და... ჩადგნენ და წინ მხოლოდ კლეშჩენკო „...ნესეს“. აშკარა იყო, კონტრშეტევის ... იყვნენ. შუა ხაზში სპირიდონი და კუ... ანუ მოქმედებდნენ, მარცხენა ფლა...ი აქტიურ ოპრიას ებარა, მა... სეკუ და ანდრეი სტროენკო ... კი ნახევარდცვასა და ორ სტ...ერს (...ანი და პოგორელოვი) შორის მოძრაობდა. ძნელი მისახვედრი არ იყო — ცენტრის საიმედოდ გადაკეტვას ცდილობდნენ.

ჩვენებმა ასეთ ტაქტიკურ სქემას მიმართეს: 3-5-2. დაცვის მარცხენა და ცენტრალური ზონები ცხადაძესა და შელიას ებარათ, მარჯვენა — ნემსაძეს, გურული უკანდაწეული თავდამსხმელის ამპლუაში მოგვევლინა, წინ ტყუპები იყვნენ, მარცხნივ — ყაველაშვილი, მარჯვნივ — რეზო. ჯამარაული ჩვეულ ადგილზე თამაშობდა. ყველაზე დიდი მოულოდნელობა ქინქლაძის უკან დახევა იყო, მის ფუნქციებს კი გურული ასრულებდა. არადა, წინწაწეული გურული და თავდამსხმელთა ტრიოს უკან მდგომი ქინქლაძე, ჩემი აზრით, გაცილებით სახიფათო იქნებოდა.

თამაშმა მალტის ნაკრებთან მატჩი გამახსენა — მაშინაც ყველაფერი ანალოგიურად წარიმართა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მალტელებთან ბედმა გაგვიღიმა და პენალტი შევადგეთ. შეტევების მიმართულება ძირითადად ცენტრი გახლდათ, ადგილი, სადაც ყველაზე მეტად ფხიზლობდა მეტოქე.

მოლდოვასთან მარცხი სავსებით კანონზომიერად მიმაჩნია. ეს ლოგიკური დასასრული იყო იმ გზისა, ნაკრების ხელმძღვანელობამ რომ ირჩია. თუ ვინმე ურმის გადაბრუნების შემდეგ გზის გამოჩენას დამაბრალებს, ვურჩევ ჯერ თავის გულში ჩაიხედოს, მერე „პალმეირასთან“ და მალტასთან ნათამაშევი მატჩების გარჩევა წაიკითხოს „სარბიელში“.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაამა...დ...ელოდნენ საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს ალექსანდრე ჩივაძეს. მის მაგივრად ჟურნალისტებს ნაკრების ერთ-ერთი მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ პანოვი წარუდგა და ამცნო, ჩივაძე შეუძლოდ შეიქნაო. წარმოსადგენია ჩივაძის იმჟამინდელი მდგომარეობა, მაგრამ არა მგონია, ისე ცუდად ყოფილიყო, ათიოდე წუთით მედიასთან ურთიერთობა ვერ შეძლებოდა. მისი არმოსვლა ისევდაისევ (უკვე მერამდენედ!) ჟურნალისტებისადმი უპატივცემულობით უნდა აიხსნას.

იონ კარასი: „დინამოს“ თამაში კრაიოვაში არაერთხელ ვნახეთ ვიდეოფირზე, ვიცოდით, „დინამო“ ნაკრების საბაზო გუნდია, აქედან და ვიდეოფირზე ნანახიდან გამომდინარე ავაგეთ ტაქტიკა. ყურადღება დაცვაზე გავამახვილეთ, მეტოქეს შეგნებულად დავუთმეთ ტერიტორია. ამჯვე საქართველოს ნაკრებს ტემპში და შეტევებში, თვითმკვლელობის ტოლფასია. რუმინელებმა ეს არ გაითვალისწინეს და ორი გოლიც მიიღეს. ეს წაგება არავითარ შემთხვევაში ჩივაძის ბრალი არ არის, თქვენებს არ გაუმართლათ. წაგების მიუხედავად, მაინც ფავორიტებად გთვლით.

ვლადიმერ პანოვი: სწორი ტაქტიკით ვითამაშეთ, უკმაყოფილო ვართ მცველთა თამაშით. ვერ გამოვიყენეთ მრავალი საგოლე მომენტი და დავისაჯეთ. წაგება მარტო ფეხბურთელების ბრალი არაა, ჩვენი წაგება მსაჯების ბრალიცაა. რა თქმა უნდა, მწვრთნელებსაც მიგვიძღვის ბრალი. გოლი... ვერ ვისწავლეთ, თუ მომე... ვერ გამოვიყენებთ, მომავალშიაც წავაგებთ.

— გულშემატკივრები ჩვენი თამაშით, ვფიქრობ, კმაყოფილნი დარჩნენ.

— გურულის შეცვლა არ გვინდოდა, მას ფეხი ეტკინა.

— ფლანგებიდან მეტი უნდა შეგვეტია, თამაშამდე სწორედ ამას ვურჩევდით ფეხბურთელებს.

— ჩემი აზრით, ბულგარელებთან სხვა ტაქტიკით ვითამაშებთ. იმედი გვაქვს, წარმატებით გამოვალთ.

— გოლი რომ თავიდან არ გავიდა, ამან ბიჭები აანერვიულა.

— სტანდარტული სიტუაციები დამუშავებული კი გვქონდა, მაგრამ მოთამაშეებმა თამაშის მსვლელობაში თვითნებურად შეცვალეს.

— გოგრიჭიანი მოვიწვიეთ, მაგრამ ტრავმის გამო ვერ ჩამოვიდა.

— გოგიჩაიშვილის არგამოყვანა ჩემი საქმე არაა, მე არა ვარ მთავარი მწვრთნელი.

— ფეხბურთელთა ფიზიკური მომზადების მხოლოდ 70 პროცენტით ვარ კმაყოფილი.

— მწვრთნელის მოხსნა-დანიშვნა ჩემი საქმე არაა.

— მოლდაველებმა მოგვატყუეს, აზერბაიჯანელებთან თამაში დაგვიმალეს.

## რა ვაკეთოთ?

ეს ცნობილი ფრაზა სავსებით შეესატყვისება ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის ახლანდელ მდგომარეობას, რადგან სწორედ ფედერაციამ უნდა აიღოს პასუხისმგებლობის ლომის წილი და ყველაფერი ჩივაძეს არ უნდა დაბრალდეს. ნაკრების მთავარი მწვრთნელი არ უნდა იქცეს განტევების ვაცად. რამეთუ:

„ჩივაძემ იცის თავის საქმე — განაცხადა ნოდარ ახალკაცმა გუშინწინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე და დაამატა: არც მე ვარ ნოიბერგერი და არც ჩივაძე — ბეკენბაუერი, მაგრამ მეც ვენდობი კაცს, რომელსაც მწვრთნელის დიპლომი არ გააჩნია. პრეზიდენტის ამ თამამ განცხადებას „სარბიელის“ წლევანდელი 28 იანვრის ნომერში ამოიკითხავთ.

ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად ალექსანდრე ჩივაძე 1993 წლის დასაწყისში დაინიშნა: მოლდოვასთან თამაშამდე წელიწადნახევრის წინ. რამდენად გამართლებული იყო მწვრთნელობაში მარილუჭმელი კაცის დანიშვნა ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელის პოსტზე ასეთ დროს? პასუხისმგებლობა როგორც უკვე ვთქვით, ფედერაციის თავკაცმა აიღო.

1990 წლის 15 თებერვლიდან მუდამ ნაკრების ბედზე ვფიქრობდი, ჩემს დღეში იყო ალბათ ასიათასობით გულშემატკივარი, ფედერაციას კი ნაკრები, რატომღაც მივიწყებული ჰყავდა და ჩივაძეც, ფაქტიურად, არასებული გუნდის მწვრთნელად დანიშნა. პირველი მატჩი რამდენიმე თვეში გაიმართა: საქართველოს თასის ფინალის წინა დღეს (?!) ჩვენი ნაკრები, ბუნებრივია, შესუსტებული შემადგენლობით, განჯაში შეხვდა აზერბაიჯანის ეროვნულ გუნდს და 0:1 წააგო. შვიდ თვეზე მეტი გავიდა (?!), სანამ ნაკრები მეორე მატჩს ითამაშებდა. ნუთუ ძნელი იყო მატჩების გამართვა სულაც იმავე აზერბაიჯანთან, სომხეთთან, თუნდაც ნაკრების მატჩი რომელიმე საკლუბო გუნდთან?

ნაკრების ხელმძღვანელთა შეცდომებს კიდევ ჩამოვთვლი და თვალს გადავავლებთ, რატომ ვივარაუდეთ კარგა ხნით ადრე მოლდოვასთან მარცხი. ზემოთთქმულის უფლებას კი თავს იმიტომ ვაძლევთ, რომ მუდამ ვცდილობდით კრიტიკულად შეგვეფასებინა ნაკრების თამაში, რათა აგვერიდებოდით დითირამბებს, სიფხიზლის მოდუნება და საერთო საქმის წახდენა რომ იცის. ამას კი იმიტომ ვაკეთებდით, რომ როგორც ჟურნალისტებს და ბოლოსდაბოლოს, როგორც ქართველებს გული შეგვტკიოდ ჩვენს ფეხბურთზე და მის სახეზე — ეროვნულ ნაკრებზე. მაშ ასე:

— ნაკრების ხელმძღვანელთაგან არავინ წამოსულა მოსკოვში „ესენგეს ჩემპიონთა თასზე“, სადაც ჩვენი მეტოქე ქვეყნის ჩემპიონის და ნაკრების საბაზო გუნდი — „ზიმბრული“ თამაშობდა.

— თუ ნაკრებს „დინამოს“ ბაზაზე აკომპლექტებდნენ, მაშინ ნაკრების ხელმძღვანელები ვალდებულნი იყვნენ „დინამოს“ არც ერთი მატჩი არ გაეცდინათ არც შინ, არც გარეთ.

— ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნაკრების ხელმძღვანელობას არ უცდია მჭიდრო კავშირი დაემყარებინა „დინამოს“ მთავარ მწვრთნელთან.

— არავინ ცდილა დასწრებოდა ევროთასების მატჩებს მოლდოვაში „ზიმბრულისა“ და „ტილიგულის“ მონაწილეობით ამა წლის აგვისტოში.

— ხელმძღვანელობამ არ გაითვალისწინა მალტელებთან დაშვებული შეცდომები.

— სტანდარტული მდგომარეობის გამოყენების ეფექტი პრაქტიკულად ნულის ტოლი იყო, არადა, დღეს შესაძლოა სწორედ ერთმა ზუსტმა საჯარიმომ გადაწყვიტოს მატჩის ბედი.

— უკანასკნელ შეხვედრამდე არ დადგენილა ნაკრების ძირითადი შემადგენლობა და ტაქტიკური სქემა.

— ნაკრების ხელმძღვანელობა ჯეროვნად არ აფასებდა მეტოქეთა შესაძლებლობებს: არავინ ჩასულა ერევანში მალტის ნაკრების სანახავად, ასევე „ზემოდან“ უყურებდნენ მოლდოვას.

— ერთ-ერთი მატჩის წინ არავინ იცოდა, ვინ დაარტყამდა პენალტს 0:1-ზე. ვერგამოუყენებელი პენალტის შემდეგ წავაგეთ კიდეც — 0:2.

— აბსოლუტურად იგნორირებული იყო საზოგადოების და ჟურნალისტთა აზრი. ჩემი კოლეგები არაერთხელ ჩავარდნილან დამამცირებელ მდგომარეობაში. ფედერაციის და ნაკრების თავკაცები მათთან ურთიერთობას ძირითადად სკოლისდროინდელი „მიზეზებით“ (ავად გახდა, მასწ.) არიდებდნენ თავს. ქართული ფეხბურთის თავკაცებს კარგა ხანია დაავიწყდათ, რომ ქართული ფეხბურთი მთელი საქართველოს საკუთრებაა და მზითვად არ მოჰყოლიათ. მატჩის წინ, ვარჯიშამდე ბაზაზე მისული ათამდე ჟურნალისტთან ჩამობრძანებაც კი არ იკადრა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა და კოსტავას პირით შემოგვითვალა უარი. არადა, ვარჯიშის ცქერის გარდა, ვაპირებდით რამდენიმე საყურადღებო ინფორმაცია მიგვეწოდებინა მათთვის.

არადა, ფედერაციის თავკაცი ამბობდა: „ჩივაძე ფართო დიაპაზონის ადამიანია. მან დიდი პასუხისმგებლობა აიღო თავის თავზე და ეყოფა კაცობა, რომ წარუმატებლობის შემთხვევაში (საინტერესოა, რას ეძახიან ხფფ-ში წარუმატებლობას? მ.კ.) თავად გადადგეს. მე არავის მივცემ უფლებას, მის საქმეში ჩაერიოს. რაც შეეხება სხვადასხვა აზრს, იგი ყველას მოუსმენს — თქვენც და მეც („სარბიელი“, ა.წ. 28 იანვარი). სხვათა შორის, გაზეთის იმავე ნომერში გამოქვეყნებულია ბერტი ფოგტსის სამუშაო კვირის განრიგი.

ყოველივე ზემოთთქმული, ასე ვთქვათ, შეუიარაღებელი თვალით დანახული გახლავთ, ალბათ სპეციალისტები (რომლებსაც რატომღაც აქამდე თევზებივით პირში წყალჩაგუბებულნი არიან) უფრო მეტს შეამჩნევდნენ და, იმედია, ახლა მაინც იტყვიან სათქმელს.

სამწუხაროდ, ნაკრების ხელმძღვანელობა ძალზე გვიან მიხვდა, რას ნიშნავს იდგე საქართველოს ეროვნული ნაკრების სათავეში. უფრო სწორად, მიახვედრეს, მაშინ, როდესაც მოლდოვასთან წაგებული თამაშის შემდეგ გულშემატკივრები მათი ლინჩის წესით გასამართლებას მოითხოვდნენ. ერთმა ლტოლვილმა კი მითხრა, ამ ბილეთის ფასით სამი კილო კარტოფილი მომივიდოდა, ბავშვებს ერთი კვირა მაინც ვაჭმევდი საჭმელსო.

რაც შეეხება პირადად ჩივაძეს, მე დღესაც მწამს მისი სამწვრთნელო შესაძლებლობის, ოღონდ მას შემდეგ, როდესაც იგი მწვრთნელთა სკოლას დაამთავრებს, რომელიმე საკლუბო გუნდს ჩაუდგება სათავეში და ყველას დაუმტკიცებს, რომ მარტო მინდორზე არ იყო „პროფესორი“.

ნაკრების წევრ დინამოელებს კი მინდა ვუთხრა: გული არ გაიტეხონ, მათ არაერთხელ დაამტკიცეს, რომ ფეხბურთის თამაში იციან. ახლა მთელი საქართველოს მათ შეჰყურებს და, ვინძლო, 13 სექტემბერს არ გაანბილებენ.

მამუკა კვარაცხელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ჩემპიონატი
VII შესარჩევი ჯგუფი

თბილისი, ეროვნული სტადიონი, 7 სექტემბერი

**საქართველო — მოლდოვა 0:1**

1. ზოიძე
3. ცხადაძე
2. ნემსაძე 4. შელია
8. ჯამარაული
6. რ. არველაძე 10. ქინქლაძე 5. ყაველაშვილი
11. შ არველაძე 9. გურული 7. ა. არველაძე

11. კლეშჩენკო
10. სპირიდონი 8. კურტიანუ
3. ბელოუსი 5. ა. სტროენკო
7. ოპრია 9. ნანი 4. პოგორელოვი 2. სეკუ
6. ს. სტროენკო
1. კოშელევი

შეცვლები: 46-ე წთ. გურული — 15. ინალიშვილი
55-ე წთ. ა. სტროენკო — 15. რებეჯა
70-ე წთ. რ. არველაძე — 14. რევიშვილი
80-ე წთ. სპირიდონი — 16. კოსე

0:1 ოპრია (40)

გაფრთხილება: სეკუ (18), გურული (25), კოშელევი (47), ა. სტროენკო (49), ნემსაძე (82)

მსაჯები: ზაქარი, ფირუზბეი, გიდი (თურქეთი)

კუთხური 17:1 (10:1); ჯარიმა 12:12, თამაშგარე 3:1 (3:0), კარში დარტყმა 30:10 (14:5)



| საქართველო | ჯარიმა | | კარში დარტყმა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | + | -- | სულ | საჯ. გარ. | საჯ. შიგნ. | აცდა | მეკარე | ძელი | გოლი |
| 1 ზოიძე | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 2 ნემსაძე | 1 | 1 | — | — | — | — | — | — | — |
| 3 ცხადაძე (კაპ) | 2 | 3 | 2 | — | 2 | — | 2 | — | — |
| 4 შელია | 1 | 1 | 4 | 3 | 1 | 1 | 2 | — | — |
| 5 ყაველაშვილი | — | 2 | 5 | 4 | 1 | 1 | 2 | 1 | — |
| 6 რ. არველაძე | — | 1 | 2 | 2 | — | — | — | — | — |
| 7 ა. არველაძე | — | — | 3 | — | 3 | 1 | 1 | — | — |
| 8 ჯამარაული | 3 | — | 2 | 1 | 1 | 1 | — | — | — |
| 9 გურული | — | 2 | 2 | 1 | 1 | 2 | — | — | — |
| 10 ქინქლაძე | 3 | — | 7 | 7 | — | 3 | 3 | — | — |
| 11 შ. არველაძე | 1 | 2 | 3 | — | 3 | 1 | — | 1 | — |
| 15 ინალიშვილი | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 14 რევიშვილი | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 8 დარტყმა მოლდოველმა მცველებმა მოიგერიეს | | | | | | | | | |
| სულ | 11 | 12 | 30 | 18 | 12 | 10 | 10 | 2 | — |

| მოლდოვა | ჯარიმა | | კარში დარტყმა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | + | -- | სულ | საჯ. გარ. | საჯ. შიგნ. | აცდა | მეკარე | ძელი | გოლი |
| 1 კოშელევი | 1 | — | — | — | — | — | — | — | — |
| 2 სეკუ | 3 | — | 1 | 1 | — | — | 1 | — | — |
| 3 ბელოუსი | 1 | 1 | 2 | 2 | — | 1 | 1 | — | — |
| 4 პოგორელოვი | 1 | 1 | — | — | — | — | — | — | — |
| 5 ა. სტროენკო | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 6 ს. სტროენკო | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 7 ოპრია | 1 | 1 | 2 | 2 | — | 1 | — | — | 1 |
| 8 კურტიანუ | — | 2 | 1 | 1 | — | 1 | — | — | — |
| 9 ნანი | 1 | 3 | — | — | — | — | — | — | — |
| 10 სპირიდონი | 2 | 3 | 1 | 1 | — | — | 1 | — | — |
| 11 კლეშჩენკო | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | — | 1 | — | — |
| 15 რებეჯა | — | — | 1 | 1 | — | 1 | — | — | — |
| 16 კოსე | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 1 დარტყმა მცველმა მოიგერია | | | | | | | | | |
| სულ | 11 | 12 | 10 | 9 | 1 | 4 | [illegible] | [illegible] | [illegible] |

# მომავალი ჩვენია

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი.
VII შესარჩევი ჯგუფი
თბილისი, 6 სექტემბერი. ეროვნული სტადიონი
10 000 მაყურებელი (გაიყიდა 1400 ბილეთი)

## საქართველო 3:0 მოლდოვა

საქართველო: ჯანელიძე, გოგიტაძე, ბურნაძე, პაპიძე, ბუცურეიშვილი, კიკნაძე, ლუდუშაური, მუჯირი, ჭიჭველიშვილი (ჯიქია 66), ანჩაბაძე, შუბითიძე (რეხვიაშვილი 82)

მოლდოვა: რომანენკო, ციციურა, ფისტიკანი, ტოლოკონნიკოვი, ტრიკოლიჩი (სერედა 15), მიპალია, ტიმბური, პარხომენკო (ჩებოტარი 80) კარასი, მელნიკოვი, ლუკიანნიკოვი

1:0 ლუდუშაური (21)
2:0 ლუდუშაური (31)
3:0 ანჩაბაძე (38 პ)

გაფრთხილება: ბურნაძე (45), ფისტიკანი (75)
მსაჯები: პიანიხი, ტიუტიუნია, გოლოვკო (უკრაინა)

ნაკრებთა რანგში ქართული ფეხბურთის პრეზენტაცია ახალგაზრდებმა დაიწყეს. მატჩის პირველ ოც წუთს თანაბარი ეთქმოდა, მოლდოველები ფიზიკური მომზადების თვალსაზრისით, ტოლს არ უდებდნენ ქართველებს — ისინი მთელი გუნდით იცავდნენ თავს და მწვავე კონტრშეტევებსაც მიმართავდნენ, წინწაწეულ მელნიკოვს სიღრმიდან ხშირად ეხმარებოდა პარხომენკო, მაგრამ სტუმრებს ტაქტიკისა და ფიზიკური მომზადების ტოლფასი ტექნიკაც რომ ჰქონოდათ, შესაძლოა, გოლიც გაეტანათ. ქართველები ამ კომპონენტში აშკარად სჯობდნენ მეტოქეს, თანაც მათი დირიჟორი ანჩაბაძე ამ მხრივაც გამოირჩეოდა მინდორზე და ეს უფრო ამწვავებდა ჩვენების იმ მრავალ შეტევას, რომელთაც სწორედ ანჩაბაძე იწყებდა. აუცილებლად აღსანიშნავი და ძალზე სასიხარულოა, რომ ჩვენი ახალგაზრდები ფლანგებსაც კარგად იყენებდნენ. მარცხნიდან მუჯირი, მარჯვნიდან კი ლუდუშაური მოსვენებას არ აძლევდნენ მეტოქეს, მართლაც შესაშური იყო მატჩის ყველაზე უმცროსი მონაწილის გიორგი კიკნაძის ამტანობაც. დაცვაში კი ხისტად და თავგამოდებით ითამაშეს გოგიტაძემ, ბურნაძემ და პაპიძემ, ბუცურეიშვილი ნახევარდაცვის „მწმენდელი" იყო. მეკარე ჯანელიძემაც კარში წასული ყველა ბურთი აიღო, რაც შეეხება თავდამსხმელებს — ჭიჭველიშვილსა და შუბითიძეს, მართალია, მათ მატჩი ბოლომდე ვერ ჩაამთავრეს, მაგრამ მაინც ქების ღირსნი არიან, რადგან, სანამ მინდორზე იყვნენ, ერთი წუთითაც არ გაჩერებულან და მათმა მუდმივმა მოძრაობამ ქანცი გამოაცალა მოლდოველებს. კარგად შეეწყვნენ თამაშს შეცვლაზე გამოსული ჯიქია და რეხვიაშვილი. აქვე მინდა ის ბიჭებიც მოვიხსენიო, სათადარიგოთა სკამზე რომ ისხდნენ და ყოველ წუთს მზად იყვნენ თამაშში ჩაბმულიყვნენ: დავით გვარამაძე, ზვიჩა ხართიშვილი, ზვიად ჯელაძე, დათო კარიაული და გურამ ასპინძელაშვილი.

გოლები კი ასე გავიდა: ოცდამეერთე წუთზე მუჯირმა მარცხენა ფლანგზე მორიგი მწვავე რეიდი განახორციელა, მისი პასის შემდეგ ანჩაბაძემ საჯარიმოში ონსტატურად ჩააგდო ბურთი, შუბითიძის დარტყმა მეკარემ მოიგერია, აქვე გაჩნდა მარჯვენა ფრთიდან შეჭრილი ლუდუშაური და... ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების „ოფიციალურ გოლთა" ანგარიშიც გაიხსნა.

•

გიორგი ლუდუშაური: როდესაც ანჩაბაძემ ჩამოაწოდა, შუბითიძემ კი დაარტყა, გულმა მიგრძნო, რომ მეკარეს ბურთი გაუვარდებოდა და კარის მარცხენა კუთხე ჩავკეტე. ბურთიც აქეთკენ გადმოვარდა...

ათი წუთის შემდეგ ლუდუშაურმა მარჯვნიდან ცენტრში გადაინაცვლა და ცაციათი მართლაც უიშვიათესი სილამაზის გოლი შეაგდო 25 მეტრიდან. ამ ბრწყინვალე გოლმა, ფაქტობრივად, თამაში დაამთავრა.

გიორგი ლუდუშაური: კიკნაძესთან ჯარიმა გავითამაშე, დავინახე, მეკარეს არასწორი პოზიცია ეკავა და კარისკენ არც გამიხედია, ისე დავარტყი. ბურთის ტრაექტორიას რომ შევხედე, მივხვდი, გოლი გადიოდა და შესულიც არ იყო, ცენტრისკენ რომ გამოვიქეცი უზომოდ გახარებული...

•

ამის შემდეგ იმაზეღა მიდგა საქმე, რა სხვაობით გაიმარჯვებდა ჩვენი გუნდი. შვიდიოდ წუთში ისევ მუჯირის პასით საჯარიმოში შეჭრილი ჭიჭველიშვილი მოცელეს და პიანიხმაც მყისვე პენალტისკენ მიუთითა.

დათო ჭიჭველიშვილი: ბურთი ოდნავ წინ გავიგდე, ის იყო, დარტყმას ვაპირებდი, რომ უკნიდან მომცელეს. დარწმუნებული ვიყავი, უეჭველად პენალტს დადებდნენ.

თერთმეტმეტრიანი ანჩაბაძემ მარცხენაა კუთხეში დაარტყა და ანგარიშიც გასამდა.

გიორგი ანჩაბაძე: პენალტის დარტყმა მე მქონდა დავალებული. მარცხენა კუთხე დარტყმის მომენტში ამოვირჩიე. მეკარეს თავიდან შევხედე, მერე კი აღარც მიმიქცევია ყურადღება.

ამის შემდეგ ჩვენები დაწყნარდნენ, დინჯად ათამაშებდნენ ბურთს და მატჩიც უპრობლემოდ მიიყვანეს ლოგიკურ დასასრულამდე. გიორგი ლუდუშაურს კი ძელმა შეუშალა ხელი „ჰეთ-თრიქი" შეესრულებინა.

შოთა ჭეიშვილი (საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი): თავიდან ჩვენი ბიჭები ნერვიულობდნენ, პირველი ნაბიჯი, მოგეხსენებათ, ძნელი გადასადგმელია, შემდგომ კი თამაში წაგვივიდა. მეორე ტაიმში ტემპი დავაგდეთ. ჩვენი მიზანი ღირსეულად ასპარეზობა და ახალგაზრდების აღზრდაა. ჩვენს ჯგუფში ფავორიტები ცნობილია. — ეს თამაშები ჩვენი ახალგაზრდებისთვის დიდი სკოლა იქნება. მომავალში ჩვენს გუნდს ალბათ გააძლიერებს ორი ფორვარდი, რომლებიც ამჟამად ტრავმებს იშუშებენ.

ანატოლი ტესლევი (მოლდოველთა მთავარი მწვრთნელი): წარმატებას ვულოცავ ჩემს კოლეგასა და მეგობარს. თუ ქართველები ადრე ძირითადად ინდივიდუალური თამაშით გამოირჩეოდნენ, ახლა გუნდური თამაშიც უსწავლიათ. მეორე გოლი ხომ მსოფლიო ჩემპიონატსაც დაამშვენებდა. თქვენი გუნდი ფავორიტად მიმაჩნია, ჩემი შეცდომა კი ის იყო, რომ არასწორი შეცვლები გავაკეთე და მყისვე დავისაჯეთ — გოლი მივიღეთ. თქვენი წარმატების საწინდარი საყოველთაოდ ცნობილი ტრადიციების გარდა ისიცაა, რომ ეროვნული ჩემპიონატების გამართვა ადრე დაიწყეთ, ჩვენთან კი ბოლო დრომდე მოწვეულ, არამოლდოველ ფეხბურთელებს ვეყრდნობით.

მამუკა კვარაცხელია
გია ახალაძის ფოტოები



უტევს ზვიჩა შუბითიძე



გიორგი ლუდუშაური

## დავკითხე და... გავექეცი

ბულგარეთის ახალგაზრდული (ოლიმპიური) ნაკრების მენეჯერი დინკო დერმენჯიევი სამი დღე აკვირდებოდა ოთხი ნაკრების ვარჯიშებსა და თამაშებს. 7 სექტემბრის მატჩის წინ პრეს-ლოჟაში ვესაუბრე წარსულში ცნობილ ფეხბურთელს, სამჯერ რომ უთამაშია მსოფლიო ჩემპიონატზე (1962, 66, 70).

— ბულგარეთის წარმატებას მსოფლიო ჩემიონატზე კანონზომიერად მიიჩნევთ?

— რა თქმა უნდა, გერმანელებსაც კი ყველაფერში ვჯობეთ.

— [illegible] აზრით, როგორ დამთავრდება გაისად, შვიდ ივნისს ბულგარეთი-გერმანიის მატჩი?

— ვფიქრობ, გერმანელები რევანშს აიღებენ.

— მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ რამდენი მატჩი გამართა ბულგარეთის ნაკრებმა?

— არცერთი, პირველი საქართველოსთან გვექნება.

— ლიუბო პენევი კიდევ ავადმყოფობს?

— განიკურნა. კარგა ხანია ვარჯიშს შეუდგა და, რამდენადაც ვიცი, „ვალენსიაში" თამაშობს კიდეც.

— თქვენს ქართველ მეტოქეებზე რას იტყვით?

— ტაქტიკურადაც და ტექნიკურადაც კარგად გამოიყურებიან. განსაკუთრებით 6, 7, 8, 9, 10 ნომრები (კიკნაძე, ლუდუშაური, მუჯირი, ჭიჭველიშვილი, ანჩაბაძე).

— მათ უფროს კოლეგებზე?

— ორი საათის შემდეგ მკითხეთ.

ორი საათის შემდეგ საკითხავი აღარაფერი იყო...

მამუკა კვანტალიანი



# თავს ზემოთ ძალა არ იყო

კორაჩის თასი. შესარჩევი ეტაპის I მატჩი.
თბილისი — სტატიბა ვილნიუსი, ლიტვა 85:110 (33:51)
თბილისი, სპორტის სასახლე 6 სექტემბერი
მსაჯები: იაბლონსკი (პოლონეთი), მიშურა (უნგრეთი)

| თბილისი | ქ. | მოხ. | ჩაჭ. | დაფ. | საჯარ. | | პერს. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | სულ | + | |
| 10 ქორქია (კ) | 3 | 1 | 1 | — | — | — | 5 |
| 7 გურასპაული | 41 | — | 6 | — | 15 | 11 | 3 |
| 15 ქარაბაკი | 10 | 3 | 2 | — | 4 | 3 | 4 |
| 4 ხელაშვილი | 18 | 12 | — | 1 | 14 | 8 | 5 |
| 11 ბერუაშვილი | 4 | 5 | 1 | — | — | — | 5 |
| 12 აბულაშვილი | 2 | 3 | — | 1 | — | — | 3 |
| 8 ვაშაკიძე | 7 | 3 | — | — | 2 | 1 | — |
| 6 ქორფაშვილი | — | 1 | 2 | 1 | 2 | — | 2 |
| სულ | 85 | 28 | 12 | 3 | 37 | 23 | 27 |

| სტატიბა | ქ. | მოხ. | ჩაჭ. | დაფ. | საჯარ. | | პერს. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | სულ | + | |
| 10 პურლისი (კ) | 21 | 2 | 2 | — | 6 | 5 | 5 |
| 15 სირვიდისი | 19 | 3 | — | 1 | 7 | 6 | 2 |
| 7 მიკალაიუნასი | 8 | 13 | 4 | — | 4 | 2 | 2 |
| 11 ადამაიტისი | 16 | 3 | — | — | 4 | 2 | 5 |
| 9 ვაინაუსკასი | 12 | 14 | — | — | 4 | 3 | 3 |
| 6 კინზა | 9 | 6 | 1 | 1 | 2 | 1 | 4 |
| 5 შეინინგასი | 13 | 4 | — | — | 2 | 2 | 4 |
| 13 ვაიჩუნასი | 10 | 3 | 2 | 2 | 2 | 2 | 3 |
| 8 ულისი | 2 | 1 | — | — | — | — | — |
| სულ | 110 | 49 | 9 | 4 | 31 | 23 | 28 |

ლიტველთა ესტონელმა მწვრთნელმა ჰეინო ლილმა თბილისელთა სკამისკენ გაიხედა, სადაც ვალერი ჯგერენაია თავისიანებს თამაშის წინა ბოლო რჩევებს აძლევდა, შეაფასა ჩვენი ვიცე-ჩემპიონის საწყისი ხუთეული და თავისი სასტარტო გუნდი მოედანზე ამის მიხედვით გაიყვანა. პირველი გდება სტუმრებმა მოიგეს, თუმცა ბურთის კალათში ჩავარდნამდე ორივე მხარეს თითო შეტევა გაუცუდდა, შემდეგ კი თბილისელ გულშემატკივართა ძველმა ნაცნობმა, ვილნიუსელმა ცენტრმა, 33 წლის ალფრედას ვაინაუსკასმა იყოჩაღა. ამას ისევ ორმხრივი შეცდომები მოჰყვა: კომბინაციები გაუმარზავი იყო, სროლები უზუსტო, ჯარიმები ხშირი, თუმცა ეს ყველაფერი მეტნაკლები ხარისხისა გახლდათ — ლიტველები უფრო ზუსტნი იყვნენ. მეათე წუთისთვის სტუმრები უკვე ათ ქულას იგებდნენ — 19:9. ამ დროისთვის ნათლად გამოჩნდა, რომ თბილისელები ფარქვეშ ბრძოლას პირწმინდად აგებდნენ, მათ ასხლეტილი ბურთი მხოლოდ ექვსჯერ მოიპოვეს, მეტოქემ კი ჩვიდმეტჯერ (!). აქვე მასპინძელთა მწვრთნელს უკვე მეორე წუთშესვენების მოთხოვნა მოუწია, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ ამით ბევრი არაფერი შეიცვლებოდა. მცირე ცვლილებანი მსაჯმა მოახდინა: მოთამაშეებს, უსაფრთხოების მიზნით, ძეწკვები, ბეჭდები და სხვა სამკაულები მოახსნევინა. აქედან მოყოლებული „სტატიბას" ალმა და „თბილისის" დალმასვლა დაიწყო. შესვენებამდე ხუთი წუთით ადრე სხვაობა თხუთმეტი, ბოლოსკი თვრამეტი ქულა იყო. სურათი არც მეორე ტაიმში შეცვლილა — ვილნიუსის გუნდი კომბინაციებს ხლართავდა, თბილისისა კი დაცვაში ერთობ უსუსური გახლდათ. მადლობა ღმერთს, ჩვენებს გურასპაული ჰყავდათ. გუნდური თამაში სრულებით რომ მოიშალა, პაატას ინდივიდუალურმა ოსტატობამლა მოგვწმინდა პირი. თავად განსაჯეთ: თბილისელთა 85 ქულიდან 41 (!) მის წილად იყო, უფრო დაწვრილებით მატჩის ცალკეულ ეპიზოდებზე შეჩერება აღარ ღირს, ზოგადად კი ის ითქმება, „სტატიბა" ცაში ვარსკვლავებს სულაც არ ეთამაშებოდა, მან ულიდერო, თანაბარი სიძლიერის მოთამაშეთაგან შედგენილი, კარგად აწყობილი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. თუმცა მათი კლასი ჩვენი ვიცე-ჩემპიონის შინ 25 ქულით დმარცხებას რომ ეყო, ის ფაქტია. „თბილისი" კი, ვიცე-ჩემპიონიაო, ვამბობთ, მაგრამ ეს ხომ ამ სამი-ოთხი თვის წინანდელი გუნდი აღარ არის. რამდენიმე წამყვანი კალათბურთელის და, რაც მთავარია, ნიკოლოზ დერიუგინის წასვლით, მისი თამაშის სტრატეგია და კომბინაციათა წყობა-მიმართულება პრინციპულად შეიცვალა, უფრო სწორად, მოიშალა, ახლის შექმნა კი უმოკლეს დროში, სეზონებს შორის შესვენების დროს, ახალი (მათგან ორი, მცირე ხნით ნათხოვარი) კალათბურთელებით შეუძლებელია. ჯგერენაია გრძნეული არ გახლავთ, ჯადოსნობა რომ ჩაედინა. თავს ზემოთ ხომ ძალა არ არის.

ილია ბაბუნაშვილი



პაატა გურასპაული ეულად ებრძოდა ვილნიუსელებს

# გალმოხდილი «კაქტუსი»

კორაჩის თასი. შესარჩევი ეტაპის I მატჩი.
კაქტუსი—აირ ფორჟესი სამარა, რუსეთი 81:62 (41:31)
თბილისი, სპორტის სასახლე 7 სექტემბერი
მსაჯები: რაკოცი (პოლონეთი), [illegible]

| თბილისი | ქ. | მოხ. | ჩაჭ. | დაფ. | საჯარ. | | პერს. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | სულ | + | |
| 7 ხოშტარია | 16 | 5 | 4 | — | — | — | 2 |
| 12 აბრამიძე | 7 | 2 | — | — | — | — | 2 |
| 15 ჩხეიძე | 10 | 5 | 2 | — | 2 | 2 | 2 |
| 13 ნაცვლიშვილი | 25 | 9 | 2 | 1 | 10 | 7 | 1 |
| 14 ბერძენიშვილი | 14 | 8 | 1 | 1 | 3 | 2 | 3 |
| 11 ოთიურიძე | 6 | 6 | 1 | — | 4 | 2 | 2 |
| 6 ა. ულენტი (კ) | — | — | 1 | — | — | — | — |
| 10 ახვლედიანი | 3 | 3 | 1 | — | — | — | — |
| სულ | 81 | 38 | 12 | 2 | 19 | 13 | 12 |

| აირ ფორჟესი | ქ. | მოხ. | ჩაჭ. | დაფ. | საჯარ. | | პერს. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | სულ | + | |
| 15 ტენი | 16 | 1 | 3 | — | 2 | — | — |
| 10 სტრეპკოვი (კ) | 4 | 1 | 1 | — | — | — | 3 |
| 4 პეტრენკო | 2 | 4 | — | — | — | — | 3 |
| 8 სტრელკინი | 15 | — | — | 1 | 2 | 1 | 3 |
| 11 ბ. ტიხონენკო | 12 | 11 | — | 3 | — | — | 2 |
| 6 კონოვალოვი | 4 | 5 | — | 1 | 3 | 2 | 4 |
| 14მოსკოვშჩიკოვი | 9 | 1 | — | — | — | — | — |
| 5 ტიმოფეევი | — | — | — | — | — | — | 5 |
| სულ | 62 | 23 | 4 | 5 | 7 | 3 | 20 |

„ვალერი ტიხონენკო ჩვენთანაა და ჩვენთან იქნება კვლავაც. უბრალოდ, პატარა, მაგრამ მაინც ტრავმა აქვს და მისი აქ ჩამოყვანა აღარ გავრისკეთ" — გვითხრა მატჩის წინ „აირ-ფორჟესის" ადმინისტრატორმა ანდრეი ფურსოვმა, რომელიც გუნდს მწვრთნელად ჩამოჰყვა. მხოლოდ ტიხონენკო და მთავარი მწვრთნელი ოლეგ კიმი როდი აკლდნენ სამარელებს. შეუძლოდ გამხდარან ჟუკანენკოც და ძმები ფილიპოვებიც — სამივე ხუთეულის წევრი. ხუთი კაცის „ერთსულოვანმა" და უეცარმა ავადმყოფობამ ცოტა დაგვაეჭვა, ამიტომ სამარელებთანაც ვცადეთ სიმართლიის გარკვევა. ყველამ სხვადასხვა გვითხრა, ჩვენ კი საბოლოოდ დავასკვენით: „აირ ფორჟესში" კონფლიქტია. ზემოთ ნახსენები ოთხი კალათბურთელის წაყვანა თურმე მოსკოვის ცსკა-ს სურს და ეს ოთხეულიც ამის უარზე არ არის. სამარელთა ხელმძღვანელობას, ბუნებრივია, ამაზე სხვა აზრი აქვს. თანაც გუნდს ფინანსურად ისე გასჭირვებია, ბოლო წუთამდე თურმე იმასაც ფიქრობდნენ, თბილისში ჩამოვიდეთ თუ არაო. საქმეს ასეთი პირიც უჩანდა, ოღონდ არა კალათბურთელების მიზეზით: თბილისიდან მოსკოვს გასაფრენ თვითმფრინავში, რომელსაც, აქეთობას სამარელები უნდა გამოჰყოლოდნენ, ბომბი უპოვიათ, ლაინერიც მოსკოვში გვან ჩაფრენილა და თბილისში დაბრუნება მეორე დღისთვის გადაუდია. ჰოდა, „აირ ფორჟესი" ჩვენთან თამაშამდე ორი საათით ადრე ჩამოფრინდა.

ანგარიში სამარელთა გამთამაშებელმა ოლეგ ტენმა გახსნა, როცა ბურთი ჩაჭრა და თავად დაასრულა კონტრშეტევა. ამის შემდეგ სტუმრები აღარ დაწინაურებულან. თბილისელებმა თავიდანვე მოიგეს ფარზე ბრძოლა, ძირითადად ნაცვლიშვილის წყალობით, რომელიც ავანტიურისტულად შედიოდა ორ-სამ მეტოქეს შორის. სამაგიეროდ, ჩვენ უკანა ხაზი იოლად ეგებოდა ტენის ცრუმოძრაობებზე და მისი შეჩერება ვერაფრით შეძლეს — ვერც ხოშტარიამ, ვერც მისმა შემცვლელებმა ულენტმა და ახვლედიანმა. მაგრამ ტენს არ ჰყავდა პარტნიორი, რომელსაც პასს მისცემდა. დაცვაში ჩხეიძე განუწყვეტლივ დარბოდა მეტოქის ფორვარდებს შორის და აკი კომბინირების საშუალებაც საფუძვლიანად შეუბრკოლა მათ. ჩვენი დაცვის შეცდომების გამო ცარიელი რჩებოდა მსროლელი სტრეპკოვი, მაგრამ მან ვერ ივარგა. ჩვენებიდან შეტევაში ნაცვლიშვილი და ბერძენიშვილი აქტიურობდნენ, ძირითადად ინდივიდუალური ოსტატობის წყალობით. სხვა გზა თითქმის არ იყო: „აირ ფორჟესმა" ზონურ დაცვას მიმართა, უკანა ხაზი კი შორიდან სროლას ერიდებოდა — პირველ ტაიმში მხოლოდ ულენტმა (უშედეგოდ) და ხოშტარიამ (ზუსტად) ისროლეს თითოჯერ სამქულიანი. ნაცვლიშვილმა და ბერძენიშვილმა თამაშის სადავეები აიღეს ხელში და პირველ ტაიმში მეტოქე ფარქვეშ მხოლოდ მათ წინააღმდეგ ჯარიმდებოდა.

მეორე ტაიმში, რომელიც „კაქტუსმა" ათქულიანი უპირატესობით (41:31) დაიწყო, ჩვენების თამაშში კომბინაციები გამოჩნდა. ნაცვლიშვილმა ფარქვეშიდან გარეთ გამოიწია და უკანა ხაზს მიეხმარა. დამთავრებამდე 13,28 წუთით ადრე, როცა „კაქტუსი" 54:38 იგებდა, მეტოქის მწვრთნელ-ადმინისტრატორმა წუთშესვენება აიღო. ტენს თამაშის გაძლოლა დაევალა და ამან შედეგი გამოიღო: ანგარიში 9 ქულამდე შემცირდა. თუმცა ამაში თბილისელების „დამსახურებაც" იყო, რადგან ამ დროს მოედანზე, ფაქტიურად, სათადარიგო შემადგენლობა იმყოფებოდა. ბოლოსდაბოლოს, ტენს გამოელიაა ფანტაზია, ბერძენიშვილი მოედანზე დაბრუნდა და ვალერი ტიხონენკოს ბიძაშვილის, ბორისის ბატონობა ფარზე აღკვეთა. სამარელები დაიღალნენ და ერთი კაქტუსელი ყოველთვის თავისუფალი რჩებოდა. მომრავლდა სამქულიანებიც და ანგარიში 24 ქულამდე გაიზარდა. და როცა „კაქტუსი" ამხელა სხვაობით დაწინაურდა, სწორედ მაშინ აღელდა, რაც გამოიყენეს კიდეც უფრო გამოცდილმა სამარელებმა, მაგრამ 14 სექტემბერს მოსკოვში, განმეორებით მატჩს მაინც 19-ქულიანი დეფიციტით დაიწყებენ.

იხილეთ მეოთხე გვერდი

დასაწყისი მესამე გვერდზე

ეს იყო ქართული გუნდის პირველი გამარჯვება ევროთასებზე. „აირ ფორჯესში" კონფლიქტია თუ სხვა რაღაც, ეს „კაქტუსის" პრობლემა სულაც არ არის. თბილისელმა კალათბურთელებმა ყველაფერი ჩადეს ამ გამარჯვებაში.

შესაძლოა, მოსკოვის მატჩისთვის სამარცხვებმა მოაგვარონ ეს კონფლიქტი (ან ის ოთხი კალათბურთელი მომჯობინდეს — საბოლოო სიმართლე მაინც ვერ დავადგინეთ), იქნებ „კაქტუსი" ორი შეხვედრის ჯამში დამარცხდეს კიდეც. მაგრამ ერთი უეჭველია: იმ დღეს გუნდმა პირნათლად მოიხადა ვალი ქართველი გულშემატკივრების წინაშე.

მერაბ რატიშვილი

## «ფანტომასი» დაგვერია

კორაჩის თასი. შესარჩევი ეტაპის I მატჩი.
მერანი — ბიპა-მოდა ოდესა, უკრაინა 73:100 (37:45)
თბილისი, სპორტის სასახლე 8 სექტემბერი
მსაჯები: იაბლონსკი (პოლონეთი), მიშურა (უნგრეთი)

| მერანი | ქ. | მოხ. | ჩაჭ. | დაფ. | საჯარ. სულ | საჯარ. + | პერს. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9ზ.ცაგარეიშვილი | 3 | — | 2 | — | 4 | 3 | 5 |
| 10პეტრიაშვილი(კ) | — | 1 | 4 | — | — | — | 4 |
| 14 ცხვედიანი | 29 | 2 | 2 | — | 7 | 1 | 1 |
| 12 ფერიაშვილი | 10 | 3 | — | — | 8 | 6 | 5 |
| 11 ბერუაშვილი | 7 | 4 | — | — | 4 | 2 | 1 |
| 13 ტალაბაძე | 7 | 3 | 2 | 1 | 3 | 3 | 2 |
| 4 უძილაური | 15 | 3 | — | — | 4 | 3 | 3 |
| 15 გაბრიჩიძე | 2 | 4 | — | — | 4 | 2 | 4 |
| სულ | 73 | 20 | 10 | 1 | 34 | 20 | 25 |

| ბიპა-მოდა | ქ. | მოხ. | ჩაჭ. | დაფ. | საჯარ. სულ | საჯარ. + | პერს. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 პუდზირეი | 27 | 4 | 1 | — | 13 | 10 | 3 |
| 10 იუშკინი | 9 | 2 | 1 | — | 1 | — | 2 |
| 14 კუზნეცოვი | 4 | 2 | 1 | 1 | — | — | 5 |
| 7 მიხაილოვი | 6 | 11 | 2 | — | 2 | 2 | 5 |
| 12 ჩაუსოვი (კ) | 9 | 6 | — | — | 4 | 2 | 2 |
| 8 უსენკო | 9 | 2 | 2 | 1 | 4 | 2 | 2 |
| 9 შპუნტი | 14 | 12 | 4 | — | 2 | — | 4 |
| 11 პინჩუკი | 14 | 2 | 2 | 2 | 3 | 3 | 2 |
| 6 პონომარიოვი | 5 | 3 | — | 1 | 4 | 4 | 2 |
| 15 გერგელი | 3 | 1 | — | — | 1 | 1 | 2 |
| სულ | 100 | 45 | 11 | 3 | 34 | 24 | 29 |

როცა ოდესელთა გუნდი მოედანზე გამოვიდა, მოთამაშეთა გამორჩევა ერთობ ძნელი გამოდგა: თითქმის ყველა ქერა და ერთ თარგზე გამოჭრილივით, ჩაფსკვნილ-ჩაკუნთული იყო. თუ ანდრეი გერგელს არ ჩავაგდებთ სათვალავში, სტუმართა გუნდის უდაბლეს და უმაღლეს მოთამაშეს შორის სიმაღლეთა სხვაობა სულ 5 სანტიმეტრი იყო. მხოლოდ ანდრეი პუდზირეის „ნოლზე" გადაპარსული თავი იძლეოდა ამ ერთადერთის იოლად ცნობის საშუალებას. პუდზირეი ამ მატჩში ორივე გუნდიდან საუკეთესო იყო: მან უწინამძღვრა პირველი ტაიმის შუაწელში იმ ოთხწუთიან მონაკვეთს, რომელიც მისმა გუნდმა 16:2 მოიგო და დაწინაურდა — 31:16. პუდზირეიმვე შეასრულა შეცდომიანი გარღვევა და მომდევნო შეტევისას ჩაუსოვს სამქულიანიც ჩააგდებინა, როცა „ბიპა-მოდა" 10 ქულით დაშორდა 24 წამის წინ 4 ქულით დაახლოებულ თბილისელებს. საბოლოოდ, ფანტომასის დარმა კალათბურთელმა დამთავრებამდე 14,40 წუთით ადრე შეისვენა, როცა ოდესელები უკვე 22 ქულით იყვნენ წინ.

„მერანის" რიგებში ერთადერთი ნათელი წერტილი ჩანდა — შალვა ცხვედიანი. როგორც კი თბილისელებმა მასზე ააწყვეს თამაში, ჩვენებისთვის უარესმა ანგარიშმა კლება იწყო. ცხვედიანი პირველივე შესაძლებლობისთანავე სამქულიანს ესროდა და აკი 9 ცდიდან 6-ჯერ გაუმართლა კიდეც. შესვენებამდე შალვას ფერიაშვილი ედგა გვერდით (პირველ ტაიმში მოგროვილი 37 ქულიდან 19 ცხვედიანმა ჩააგდო, 10 — ფერიაშვილმა, 4 — უძილაურმა, 2-2 — ზაზა ცაგარეიშვილმა და ბერუშვილმა). მეორე ტაიმის მეექვსე წუთზე ფერიაშვილმა ხუთი პერსონალურის გამო მოედანი დატოვა და უკრაინელებმა ფარზე მთლად გაილაღეს. „მერანმა" სამქულიანებზე გადაიტანა ყურადღება, ოდესელებიც აყვნენ და მატჩის დასასრული შორიდან ტყორცნების კონკურს დაემსგავსა. უძილაურმა ყველას აჯობა, ოღონდ ეგ იყო, „ბიპა-მოდა" ახლოდანაც შედეგიანად უტევდა. „მერანის" მაგალითმა კიდევ ერთხელ დაადასტურა: ერთ თვეში მთლად ვარსკვლავები რომ ჩამოგლიჯო ციდან, შეთამაშებულ გუნდს ვერაფრით დააყენებ, თორემ „ბიპა-მოდას" საქართველოს ჩემპიონატში პრიზიორებს მიღმა დარჩენილი ზოგიერთი გუნდის დამარცხებაც გაუჭირდებოდა.

მერაბ რატიშვილი

## ღირსეული დამარცხება

პატივმოყვარეობა ზოგჯერ საჭირო თვისებაა. მერე რა, რომ მეტოქის გუნდში ბევრი ცნობილი კალათბურთელია, მათმა ლიდერმა გუნდარს ვეტრამ კი თითქმის ორი სეზონი NBA-ში გაატარა. სამაგიეროდ, ჩვენ „ვითა" ვართ, საქართველოს ჩემპიონთა ამგვარი განწყობა იმთავითვე შეინიშნებოდა. ძნელი სათქმელია, ეს ზუსტად როდის, სად ან ვის რომელ გამონათქვამში გამოჩნდა. ამგვარი არც რამე თქმულა, უბრალოდ იგრძნობოდა და მორჩა. „ვითას" მოსამზადებელი პერიოდი, მატჩისწინა ინტერვიუები... ყველაფერი ამაზე მეტყველებდა. ასე ჩაიარა მატჩმაც, რომელიც იმით დაიწყო, რომ კახა შენგელიამ მის მეურვეს იგორ მელნიკს 65 წამში ორი პერსონალური მიაღებინა, თუმცა თხი საჯარიმოდან ორი ჩაგდო შემდეგ

ჩემპიონთა თასი. შესარჩევი ეტაპის I მატჩი.
ვითა—ბროცენი რიგა, ლატვია 80:88 (35:32)
თბილისი, სპორტის სასახლე 8 სექტემბერი
მსაჯები: რაკოცი (პოლონეთი), პილიპაუსკასი (ლიტვა)

| ვითა | ქ. | მოხ. | ჩაჭ. | დაფ. | საჯარ. სულ | საჯარ. + | პერს. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9ჩერქეზიშვილი(კ) | 13 | 1 | 2 | — | 2 | 2 | 1 |
| 4 ვაშაკიძე | 12 | 2 | 2 | — | 10 | 8 | 1 |
| 6 კობეშავიძე | 12 | 1 | 1 | — | 10 | 5 | 4 |
| 13 ორმოცაძე | 6 | 2 | 1 | — | — | — | 4 |
| 11 შენგელია | 11 | 9 | — | 2 | 6 | 3 | 3 |
| 7 ტურაშვილი | 3 | 1 | 2 | — | 2 | 1 | 3 |
| 8 სანაძე | 15 | 6 | 1 | — | — | — | 3 |
| 14 კოკოლიშვილი | 2 | — | — | — | — | — | 4 |
| 10 კორძაძე | 6 | — | 1 | — | — | — | 2 |
| სულ | 80 | 22 | 10 | 2 | 30 | 19 | 29 |

| ბროცენი | ქ. | მოხ. | ჩაჭ. | დაფ. | საჯარ. სულ | საჯარ. + | პერს. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11 ვალეიკო | 14 | 4 | 3 | — | 6 | 5 | 3 |
| 8 ვეტრა (კ) | 18 | 3 | 2 | — | 6 | 5 | 4 |
| 7 მუჟნიეკსი | 24 | 7 | 1 | — | 8 | 6 | 2 |
| 12 ლიეპა | 7 | 7 | — | — | 4 | 3 | 3 |
| 6 მელნიკი | 5 | 1 | — | — | 4 | 3 | 3 |
| 13 ზეიდაკსი | 10 | 8 | — | — | — | — | 4 |
| 14ბონდარენკო | 10 | 8 | — | — | 5 | 4 | 1 |
| 10 ბაგატსკისი | — | 1 | — | — | — | — | 3 |
| სულ | 88 | 39 | 6 | — | 33 | 26 | 23 |

კობეშავიძემ თავისი ცნობილი სამქულიანი მოათავსა და ექვსი ათასი გულშემატკივრის ღრიანცელში თბილისელები დაწინაურდნენ — 5:0. რიგელთაგან ანგარიში ვეტრამ გახსნა. შეხვედრის დაწყებიდან ექვსი წუთის შემდეგ მელნიკმა მესამე ჯარიმა რომ მიიღო და იგი მისივე აღნაგობის ანდრეი ბონდარენკომ შეცვალა (მელნიკის სიმაღლეა 207 სმ, ბონდარენკოსი — 208), „ვითა" რვა ქულას იგებდა — 16:8. ეს ამ მატჩში ჩვენი ჩემპიონის ყველაზე დიდი უპირატესობა იყო. დროის შემდგომ მონაკვეთში „ბროცენიმ" იყოჩაღა. მას მერე, რაც სამქულიანების კიდევ ერთ ოსტატს, გია სანაძეს ორჯერ მოეცარა ხელი (მან თამაშში ხუთი სამქულიანი მოათავსა) და ერთხელაც კორძაძემ ააცდინა, რიგელებმა აღმასვლა იწყეს და ტაიმის დამთავრებამდე ცხრანახევარი წუთით ადრე პირველად დაწინაურდნენ — 20:18. ქულა ქულაზე თამაშში ლატვიელებმა უპირატესობა შვიდი წუთის მანძილზე შეინარჩუნეს, ტაიმის ბოლო კი „ვითასი" იყო — 35:32.

მეორე ტაიმის საწყის 6 წუთსა და 53 წამში მასპინძლებმა მეშვიდე გუნდური ჯარიმა მიიღეს, პირველი ტაიმის საქულიანი უპირატესობა შვიდქულიან ჩამორჩენად ექცათ და თავი მდევრის როლში ჩაიყენეს, თუმცა როლს კარგად მოერგნენ — 52:52, შემდეგ 57:57. და მაინც, თამაში თანდათან ლატვიის ჩემპიონის სასარგებლოდ ტყდებოდა. ირაკლი ვაშაკიძე, რომელმაც თავად გუნდარს ვეტრას წინააღმდეგ საუცხოოდ ითამაშა, მეხუთედ ჯარიმდება და მოედანს ტოვებს. სტუმართა უპირატესობა უკვე ცამეტქულიანია — 63:76. „გუნდს ყოველ შეხვედრაში უნდა ჰყავდეს ლიდერი, რომელიც ოც ქულაზე მეტს მოიპოვებს" — გვითხრა მატჩის შემდეგ „ვითას" ერთ-ერთმა მწვრთნელმა. „ბროცენიში" იკვეთება ასეთი ფიგურა — მუჟნიეკსი. ტაიმის ბოლო მონაკვეთში თბილისელები თავგამოდებით იბრძვიან. სანაძეს კარგად მიუდის სამქულიანების საქმე. საბოლოოდ, ცამეტქულიანი უპირატესობა



ირაკლი ვაშაკიძე ვეტრასაც არ შეეპუა

რვამდე მცირდება.

ტრიბუნიდან ისე ჩანდა, რომ მთელი შეხვედრის მანძილზე „ბროცენის" მთავარი მწვრთნელი არმანდს კრაულინში მსაჯებით, მეტადრე კი პოლონელი რაკოცით უკმაყოფილო იყო: „ჩემი პრინციპი ასეთია, მოთამაშეებსაც ამასვე ვასწავლი: თამაშის დროს საქმე იმდენი გვაქვს, რომ მსაჯების განსასჯელად არ გვცალია. ისე კი, რამდენიმე სადავო მომენტი არბიტრებმა მაინც მასპინძელთა სასარგებლოდ განსაჯეს".

კრაულინშმა ისიც თქვა, რომ მისმა გუნდმა შესაძლებლობათა სამოცდაათ პროცენტზე მეტი ვერ გამოიყენა და რომ იგი „ბროცენის" თამაშით უკმაყოფილოა, თუმცა რაც მოედანზე ორივე გუნდის შესრულებით ვიხილეთ, თანამედროვე კალათბურთი იყოო.

ეს მართლაც ასეა. ქართველ გულშემატკივარს უკმაყოფილობის საბაბი არ აქვს. „ვითა" ძლიერ გუნდთან ვაჟკაცურ ბრძოლაში დამარცხდა.

ილია ბაბუნაშვილი

## გუნდარს ვეტრა: NBA – საკალათბურთო სრულყოფილებაა



27 წლის გუნდარს ვეტრამ საბჭოთა კავშირის ნაკრებში მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მოპოვება, გაერთიანებულ გუნდში ბარსელონის ოლიმპიადაში მონაწილეობა და „მინესოტა ტიმბერვულვზში" სეზონ-ნახევრის თამაში მოასწრო.

სნგ-ს გუნდში ყოფნამ ერთ უცნაურ ამბავში გახლართა: ეროვნებით ლატვიელი, ლატვიის მოქალაქე, ფიბას-ს „ორიგინალური" კანონების გადამკიდე, საკუთარ გუნდში უცხოელის სტატუსით გამოდის და თავისი ეროვნების კიდევ ერთხელ დადასტურებამდე სამი წელი უნდა იცადოს.

ასეთი მდიდარი სპორტული ბიოგრაფიის პატრონი ზრდილობითა და ჟურნალისტებთან თავაზიანი ურთიერთობითაც სამაგალითო ყოფილა.

**— გუნდარს, ჩვენ კვლავ NBA-ში გვეგონეთ, თქვენ კი რიგაში ყოფილხართ...**

— მეც მეგონა, რომ ამერიკაში ვიქნებოდი, სულ ცოტა, ამ წლის ოქტომბრამდე, მაგრამ აზლა თქვენ გესაუბრებით თბილისში.

**— რა მოხდა?**

— „მინესოტამ" 1992 წელს ორწლიანი კონტრაქტი გამიფორმა. 92-93 წლების სეზონი თავიდან ბოლომდე ვითამაშე. მეორეც დავიწყე, მაგრამ წლეულს იანვარში დამითხოვეს.

**— რატომ?**

— თუ NBA-ს მატჩებს უყურებთ, იოლად მიხვდებით.

**— სუსტი იყავით?**

— სისუსტის აღიარება ცოტა ძნელია და არავის სიამოვნებს. ასე ვთქვათ: „მინესოტას" არ ვჭირდებოდი.

**— „ბროცენში" პირდაპირ ამერიკიდან მოხვედით?**

— არა, მიუხედავად იმისა, რომ „ბროცენი" შარშანდელი ზაფხულიდან ცდილობდა ჩემს გადმოყვანას. იანვარში რიგის ვეფ-ში გადმოვედი, ლატვიის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ კი ამ კლუბში ვარ.

**— კი მაგრამ, თქვენ ევროპის ნებისმიერი კლუბი მიგიწვევდათ...**

— მიწვევდნენ კიდეც, მაგრამ „ბროცენმა" ისეთი პირობები შემომთავაზა, რომ წლეულს ლატვიაში დარჩენამ უფრო მომხიბლა. ამ სეზონის შემდეგ კი ვნახოთ...

**— „ვითასთან" ჩატარებულ მატჩზე რა იტყვით?**

— საქართველოს ჩემპიონზე ჩვენი ინფორმაცია იმით შემოიფარგლებოდა, რომ მის რიგებში ჩემი ძველი ნაცნობები შენგელია და სანაძე თამაშობდნენ. მძიმე შეხვედრა გვქონდა, პირველი ტაიმი წავაგეთ კიდეც — ბევრი ჩემი თანაგუნდელი გადაეჩვია სავსე ტრიბუნების წინ თამაშს. თანაც, ეს ევროთასების პირველი მატჩი იყო და, ბუნებრივია, ვღელავდით.

**— მსჯელობაზე რა აზრის ბრძანდებით?**

— მსაჯობა ნორმალური იყო. ოღონდ, არბიტრები ხელს უშლიდნენ ორივე გუნდის თამაშს. მაგრამ ეს მათი ბრალი არ არისს.

**— აბა, ვისი ბრალია?**

— იმ წესების, რომლითაც ფიბა ხელმძღვანელობს. ძალზე ძნელია, ასეთი წესებით ნებისმიერ გუნდს თავის სრულიად გამოჩენის საშუალება მისცე.

**— მაშ, რა უნდა ჰქნას ფიბა-მ?**

— წესები უნდა შეცვალოს და თუ მთლად პროფესიული ყაიდის არა, მასთან მაქსიმალურად მიახლოებული უნდა გახადოს. თუმცა, ველოსიპედი უკვე გამოგონილია — NBA, ახლის გამოგონება კი საჭირო აღარ არის. ამას ისეთი კაცი გეუბნებათ, ვინც საკუთარ ტყავზე გამოსცადა ორივე ტიპის წესები. ხოლო პროფესიული კალათბურთის უპირატესობას თქვენ ჩემს გარეშეც კარგად შეამჩნევთ. NBA — საკალათბურთო სრულყოფილებაა.

**— დაცვის ზონური პრინციპიც გასაუქმებელია?**

— აბა, მას რამე ხეირი მოაქვს? არც ეგაა საჭირო. მერწმუნეთ, პროფესიონალთა სიძლიერის 50 პროცენტი მართებული წესებითაა განპირობებული.

**— ეგ ფიბა-ს პრობლემებია. „ბროცენი" რას ისახავს მიზნად ჩემპიონთა თასის წლევანდელ გათამაშებაში?**

— ჯერ „ვითას" უნდა გავცდეთ. იგი საკმაოდ კარგი გუნდია და არა მგონია, ჩვენი 8-ქულიანი უპირატესობა რიგაში იოლად გაგვაზრდევინოს. თუ აქ გავედით, მომდევნო წრეში ამ თასის ახლანდელ მფლობელს, ესპანეთის ქალაქ ბადალონას „ხუვენტუდს" ვხვდებით. თუ აქაც გავძვერით, ევროპის ჩემპიონთა ლიგაში შევალთ და მომავალ მიზნებს შემდეგ დავსახავთ. თუ „ვითა" ან „ხუვენტუდი" გამოგვაგდებს — ჩვენ, როგორც ლატვიის თასის მფლობელებს, ევროპის თასების მფლობელთა თასზე ავტომატური გადასვლის უფლება გვაქვს და ამას გამოვიყენებთ კიდეც.

მერაბ რატიშვილი
ილია ბაბუნაშვილი


# კლუბი „მესეჯი"

კვლავ სპორტის მოყვარულთა განკარგულებაში


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტოტალიზატორი [illegible]

ჩემპიონთა თასი. 14 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| მანჩესტერი — გიოტებორგი | 1,2 | 3,0 | 6,6 |
| ბარსელონა — გალათასარაი | 1,1 | 3,4 | 8,0 |
| დინამო (კიევი) — სპარტაკი | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| პარი სენ-ჟერმენი — ბაიერნი | 1,8 | 2,5 | 3,0 |
| პაიდუკი — ბენფიკა | 2,3 | 2,4 | 2,4 |
| ანდერლეხტი — სტიაუა | 1,2 | 3,0 | 6,6 |
| კაზინო — აეკი | 1,7 | 2,2 | 4,9 |
| აიაქსი — მილანი | 2,3 | 2,4 | 2,4 |

თასების თასი. 15 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| პირინი — პანათინაიკოსი | 2,3 | 2,4 | 2,4 |
| კროაცია — ოსერი | 1,8 | 2,5 | 3,0 |
| გრასჰოპერსი — ჩერნომორეცი | 1,2 | 3,0 | 6,6 |
| ავსტრია — ბრანიკი | 1,2 | 3,0 | 6,6 |
| ბოდო გლიმტი — სამპდორია | 6,6 | 3,0 | 1,2 |
| ცსკა მოსკოვი — ფერენცვაროში | 1,2 | 3,0 | 6,6 |
| დანდი იუნაიტედი — ტატრანი | 1,2 | 3,0 | 6,6 |
| ჟალგირისი — ფეიენოორდი | 3,6 | 2,6 | 1,6 |

უეფას თასი. 13 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ანორთოსისი — ატლეტიკო | 5,7 | 2,8 | 1,3 |
| ცსკა სოფია — იუვენტუსი | 6,6 | 3,0 | 1,2 |
| გკს — არისი | 1,7 | 2,6 | 3,3 |
| არაუ — მარიტიმუ | 1,7 | 2,4 | 3,5 |
| ოლიმპიაკოსი — მარსელი | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| რუსენბორგი — დეპორტივო | 4,2 | 2,6 | 1,5 |
| აპოლონი — სიონი | 2,5 | 2,4 | 2,2 |
| ვიტესი — პარმა | 3,8 | 2,8 | 1,5 |
| ანტვერპენი — ნიუკასლი | 4,0 | 3,0 | 1,4 |
| ლინფილდი — ოდენსე | 1,8 | 2,5 | 3,0 |
| ასტონ ვილა — ინტერი | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| სერენი — დინამო მოსკოვი | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| აიკი — სლავია პრაღა | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| ლევერკუზენი — ეინდჰოვენი | 1,3 | 2,8 | 5,7 |
| გურნიკი — ადმირა ვაკერი | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| როტორი — ნანტი | 2,2 | 2,4 | 2,5 |
| სლოვანი — კოპენჰაგენი | 1,4 | 2,6 | 5,0 |
| ტრაბზონსპორი—დინამო ბუქ. | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| რეალი — სპორტინგი | 1,1 | 3,4 | 8,0 |
| კანი — ფენერბაჰჩე | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| რაპიდი ბუქ. — შარლერუა | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| დორტმუნდი — მოზერველი | 1,1 | 3,4 | 8,0 |
| ბორდო — ლილესტრიომი | 1,1 | 3,4 | 8,0 |
| ბეკეშჩაბა — ტექსტილშჩიკი | 1,4 | 2,8 | 4,4 |

დინამო თბ — ინსბრუკის თამაშზე ფსონები მიიღება მხოლოდ ანგარიშის გამოცნობაზე. კოეფიციენტი — 4,0

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ფსონები მიიღება სასტუმრო „აჭარის" ფოიეში სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს 13-დან 16 საათამდე

## ტოტოლოტო
## საფეხბურთო პროგნოზი

ტირაჟი 07
17-18 სექტემბერი

| | |
|---|---|
| 1 | ბარი (დ) — რეჯანა (14) |
| 2 | ბრეშია (დ) — ინტერი (13) |
| 3 | ფიორენტინა (დ)—კრემონეზე (10) |
| 4 | მილანი (1) — ლაციო (4) |
| 5 | ნაპოლი (6) — იუვენტუსი (2) |
| 6 | რომა (7) — ჯენოა (11) |
| 7 | ვერდერი (8)—მ. გლადბახი (10) |
| 8 | ლევერკუზენი (3)—დორტმუნდი (4) |
| 9 | შტუტგარტი (7)—აინტრახტი (5) |
| 10 | ვალენსია (7) — ტენერიფე (10) |
| 11 | ალბასეტე (13) — რეალი (4) |

ფრჩხილებში — წინა ჩემპიონატში დაკავებული ადგილი

ჩაბარების ბოლო ვადა — 15 სექტემბერი, 16 საათამდე


გამოვიდა და იყიდება რევაზ შენგელიას მიერ შედგენილი

ქართული ფეხბურთის ყოველწლიური წიგნი № 3

წიგნის შეძენა შეგიძლიათ „სარბიელის" რედაქციაშიც



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით და პარასკეობით
ინდექსი 66441
რაიონებისთვის გაზეთის ფასი სახელშეკრულებოა

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29
წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208
იბეჭდება გამომცემლობის „სამშობლოს" სტამბის კორპუსში, ხიმშიაშვილის 29

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედკოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ ბიგვავა ქოთქიაშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეგრელია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)